# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/44 „4" ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" $13^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი სააპელაციო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

დ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2021 წლის 5 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი